ჩვენი გზა

№ 29

თფილისი

1907

ოთხშაბათი, 10 ოქტომბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელმოწერა და ფასის მეტი განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

№ 29 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 29

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი გზა

გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

გამეთ „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორა დაბეჯითებით აცხადებს, როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапань“ НЕСТОРУ КИШВАРДІЕВИЧУ ЦИНЦАДЗЕ.

თფილისელი ამხანაგები ნწუხარეობით აუწყებენ საზოგადოებას, უღროოთ გარდაცვალებას დაუვიწყარი ამხანაგის

ვარლამ გიგაშვილისას

(იგივე ვანო ნემსაძე). (2—უ—2).

მედიცინის დოქტორი

ს. ა. ლიური

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი **ყურის, ყელის** და **ცხვირისა** იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს. პეტერბურგის ქ, № 10. ტელეფ. № 595.

ექიმი

ივ. გომართელი

მირგველი ოქტომბრიდან დებულობს ავათმყოფებს თფილისში.

გოლოვინის პროსპექტი, თამამშევის სახლი № 33.

კბილის ექიმი

სამსონ ვაშაყმაძე

გადავიდა ვოგზლის ქუჩაზე № 10, სლივიცკიე სახლში.

ავათმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, დილით 9—1 საათ. და საღამოთი 4—6 ს. (თვ.)

გამოცდილი მასწავლებელი ამზადებს მასწავლებელ ქალ-ვაჟთ ყველა საშუალო და დაბალი სასწავლებლისათვის. ამზადებს აგრეთვე სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

ადრესი: გოლოვინის პროსპექტი, სახლი № 28 ბინა № 3, ეზოში.

ქართული წარმოდგენა

არტისტიულ საზოგადოების თეატრში

პარასკევს, 12 ოქტომბერს

გაიმართება პირველი წარმოდგენა სეზონის დასაწყისად

ილია ჭავჭავაძის სახსოვრათ.

I.

პატივისცემა

დიდებულ პოეტის ქანდაკების წინაშე სიტყვები და ლექსები,

II.

ოთარაანთ ქვრივი

დრამატ. სურ. 3 მოქმ. ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან გადმოკეთებული.

III.

ცხოველი სურათები

IV.

გლახა ჭრიაშვილი

(სცენაი მომრიგებელ შუამავალთან) ილია ჭავჭავაძის თხზულებე.

მონაწილეობას დებულობს მთელი დასი.

დასაწყისი სწორეთ 8 საათზე.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

მორიგი წევრი გამგეობისა **ალ. პ. სარაჯიშვილი.**

გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს და წრთვნის მოაწავლე ქალ-ვაჟთ ყველა **საშუალო სასწავლებლის მეექვსე კლასამდის**; აგრეთვე ამზადებს სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

ადრესი: უდელნი ქუჩა № 18, თურქიას ბინა.

ქუთაისში

ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას მოითხოვოს **ფირალოვის** პაპიროსი **„სამპატიანა“** და **„ინტელიგენტი“**, რომელიც საზღვარგარეთის საუკეთესო პლანტაციების არომატიული თუთუნისაგანაა შეზავებული და პროგრესიულათ გაუმჯობესებული.

პატივისცემით **ძმ. ფირალოვები.**

10—ნ—2.

მეტი სინათლე!

„კარგ მთქმელს კარგი გამგონეც უნდა“

ხალხური.

III.

„საერთოთ და, ასე ვთქვათ, განყენებულათ რომ შევხედოთ საქმეს, საკითხი სოციალდემოკრატიის ურთიერთობისა კადეტებისადმი ირის საკითხი იმაზე, თუ რა ურთიერთობა უნდა ჰქონდეს სოციალურ დემოკრატიას ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან. და ამ საკითხში რუსეთის სოციალდემოკრატები უიმედოთ უკან რჩებიან პოლიტიკურ გამოცდილებას მათთვე გერმანელ ამხანაგებისა, რომელთა განწყობილებას (настроеніе) ასე სისწორით ხატავს ბ-ნი პლეხანოვი“. ასე სწერს კადეტების ლიდერი მილიუკოვი და თან განმარტავს თუ რაში მდგომარეობს გერმანელ სოც.-დემოკრატების პოლიტიკური გამოცდილება და მათი ახალი განწყობილება ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან. გერმანელი სოციალდემოკრატია თურმე ამ ბოლო დროს ძალიან გაბედულათ და თავდავიწყებით მიდის კომპრომისების გზაზე და თან ავსებს იმ უფსკრულს ბურჟუაზიულ და სოციალურ დემოკრატიის შორის, რომელიც გასთხარა მის (ს.-დ.) დოქტრიონორობამ, მის „ჰიპერტროფიულ კლასიურ მოძღვრებამ“. „გერმანულათ აღზრდილი“ პლეხანოვი, თურმე ბეჯითათ ცდილობს იმ უფსკრულის ამოვსებას რუსეთში. რუსეთის სოციალდემოკრატია მენშევიზმის სახით ამ ბოლო დროს თურმე იწყებს გონზე მოსვლას და გერმანიის სოც.-დემოკრატიის ახალ მიმართულების გზაზე დადგომას. მაგრამ —განაგრძობს მილიუკოვი—„დრო საშურია“ („რეჩი“, 229) კადეტებს არ შეუძლიანთ „თავისი ზურგით ზიდონ ვირები“, დღეს-დღეობით მათ მტრათ უნდა აღიარონ სოც.-დემოკრატია, რადგან ამისი გამოფხიზლების და პოლიტიკური აღზრდის დამთავრება ალბათ ჯერ კიდევ ბევრ დროს მოითხოვს, მით უმეტეს, რომ „თვით ბ. პლეხანოვი, რომელიც ერთიანათ გაჟღენთილია რევიზიონისტულ პსიხოლოგიით, ჯერ კიდევ საჭიროთ ხედავს პარტიულ სიეზდზე ფორმალურათ უარჰყოს რევიზიონიზმი“.

მილიუკოვის უკანასკნელი სტრიქონები კარგათ მოწმობენ, თუ რა შორს მიდის პროფესორის გონებრივი უმწეობა ისეთ საკითხებში, სადაც ხმა მაღლა ლაპარაკობენ ანტაგონისტურ კლასების ინტერესები. არც რუსეთში და არც ევროპაში რევიზიონიზმს და მის მამა-მთავარს ბერნშტეინს არ გამოსჩენია პლეხანოვზე უფრო **სასტიკი და უღმობელი** მოწინააღმდეგე და აი, ეს პლეხანოვი თურმე თვითონვე ყოფილა ბერნშტეინიზმით გაჟღენთილი?! მილიუკოვის ამ უცნაურ გაუგებრობის ასახსნელათ საჭიროა ავხსნათ და გავარკვიოთ მისი მთელი ზემოთ მოყვანილი ბურჟუაზიული აბდა-უბდა.

უწინარეს ყოვლისა შევნიშნოთ გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიის შესახებ, რომლის „ახალ განწყობილებამ—მილიუკოვის სიტყვით—უეჭველათ თავისი გავლენა უნდა იქონიოს რუსეთის სოციალდიზმზე“. როგორც გერმანიის, ისე სხვა ქვეყნების სოციალდემოკრატია, იმის და მიხედვით, როგორც ვითარდება და ძლიერდება, და თანდათან ხდება დიდათ გავლენიან და გადამწყვეტ ძალათ სახელმწიფოში, აბის და მიხედვით სოციალდემოკრატია იძულებული ხდება უფრო ხშირი და რთული ურთიერთობა იქონიოს დანარჩენ საზოგადოებრივ ძა-

---

ჯ ა შ უ შ ი

დრამა 4 მოქმედებათ. *)

მოქმედება მესამე

(სცენა წარმოადგენს დიდებულიძის ზალას)

გიორგი. შენ კარგათ იცი, რომ მე ხუმრობა არ მიყვარს. მთელი ჩემი სიმდიდრე მე ხასიათის სიმტკიცით შევიძინე, მოსვენება არ მქონდა, დაღალვა რა იყო, არ ვიცოდი, მე პირდაპირ მივდივარ ჩემი მიზნისაკენ და ვინც წინ გადამეღობება, არავის არ დავზოგავ, არავის არ დავინდობ, დღემდე რაც გამიზრახავს, ამისრულებია. თვით განგება ხელს მიწყობდა ყოველ საქმეში და დღეს რომ იმათ (ქუჩისკენ აშვერს თითს) პირგამურულმა მუშებმა მაჯობონ, ჩემის ხელითვე მოვიკლავ თავს.

სვიმონი. საქმე მარტო თქვენ არ შეგეხებათ, საქმე ჩვენც შეგვეხება და არა თუ მარტო ჩვენ, მთელ ჩვენ სამშობლოს. თუ თქვენ დაგამარცხეს თქვენმა მუშებმა, ჩვენ ყველას ერთიანათ მოგვსრესენ და ჩვენი სამშობლო რომელიც გაევროპიელების გზას დაადგა, ველურ ქვეყნათ გადაიქცევა, რამ ააყვავა ევროპა? კაპიტალისტურმა წარმოებამ, ვინ შექმნა კაპიტალისტური წარმოება? ბურჟუაზიამ. დღეს შენი მუშები გამოდიან ბურჟუაზიის და კაპიტალისტური წარმოების წინააღმდეგ. მათ უნდათ სამშობლო დაამხონ, კულტურა მოსპონ, პროგრესი შეაჩერონ, და რამდენათ ჩვენ მათ წინააღმდეგ წავალთ, იმდენათ ჩვენ მარტო ჩვენს ინტერესებს კი არ ვიცავთ, არამედ მთელი სამშობლოს ინტერესებს.

გიორგი. მე დავავალე სპირიდონს, რომ ჩამომიწეროს ყველა ბუნტის თავი ჩემს მუშებში. მე მათ ერთათ დავითხოვ ყველას და მაშინ დავინახავ, რას გაბედავენ ჩემი მუშები.

სვიმონი. აი სწორეთ ეგ უნდა მეთქვა მეც თქვენთვის. მუშები ბრიყვები არიან, მათ არაფერი არ ესმისთ, რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებენ. უმეტეს მათგანს მიეცი პური, ბინა და ტანისამოსი და მეტი არაფერი არ უნდა.

გიორგი. განა რა უნდა უნდოდეს მეტი? ყველა რომ მდიდარი იყოს, მდიდრებმა რაღა ქნან მაშინ?

სვიმონი. მეც მაგას ვამბობ, უმეტესობა თავისი მდგომარეობით სრული კმაყოფილია, მეტი მას არაფერი უნდა, ხოლო მათში გამოერევიან ხოლმე რამოდენიმე კაცი, რომლებსაც რაღაც გაუგონიათ ან წაუკითხავთ, შეგნებით კი ვერ შეუგნიათ, ან ბუნებით დაბადებულან უკუღმართი და შფოთი ხასიათისა და აი, ისინი იმორჩილებენ უმრავლესობას, ძალას ატანენ, აშინებენ; აი, ამგვარ პირებს უნდა ამორჩევა, ხოლო დათხოვა არა კმარა: საჭიროა, რომ ისინი პირდაპირ პოლიციას მისცე ხელში, როგორც არასაიმედონი, წესიერების დამრღვევნი, სახელმწიფოსა და სამშობლოს მტერნი, მთავრობა ჩვენსკენ არის.

გიორგი. მაშ არა და გამურულ მუშებს თუ მიუდგა, კუჭი გაუძღება.

სვიმონი. მთავრობა ჩვენსკენ არის და თუ ამგვარი პირები მას ხელში მივეცით ხოლმე, ისინი ასწავლიან ჭკუას. აი ამგვარ ტაქტიკას რომ ადგეს ყოველი ჩვენგანი, დღეს ევროპაში არავითარი მუშათა მოძრაობა არ იქნებოდა, არავითარი! მაგრამ საქმეს რაკი თავშივე წაადგენ, შემდეგ მისი გამოსწორება ძნელია და ხშირათ შეუძლებელიც.

გიორგი. ეგ საუცხოვო აზრია, მაგრამ დაპერისათვის საბუთები საჭირო.

სვიმონი. რა საბუთები! ვიტყვით რომ მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებენ მუშებსთქო. მორჩა და გათავდა. ეს ისეთი საბუთია, რომ დამნაშავეს ციმბირში ამოაყოფინებენ თავს უკითხავათ.

გიორგი. ხოლო იმ შემთხვევისათვის, თუ ისინი მაინც ჭკუაზე არ მოვიდენ, მე კარგი წამალი მაქვს—ჯარი. თუ მათ თავისი არ მოიშალეს და გონს არ მოვიდენ (ამ დროს შემოდის ლევანი, გიორგი იქით მიიხედავს და ლაპარაკს შეწყვეტს).

დეკანი. მგონია შეგიშალეთ.

გიორგი. შენთან შვილო დასამალავი არაფერი მაქვს. ჰო! იმას ვლაპარაკობდი, რომ თუ გონს არ მოვიდენ, მივუსევ ჯარს და მათის სისხლით ქუჩებს შევღებავ.

სვიმონი რასაკვირველია, რასაკვირველია. მოკვლა კაცისა კარგი არ არის, ხოლო როდესაც თქვენ გააფრთხილებთ, თქვენ მოვალეობას მოიხდით და ხელები გაბანილი გექნებათ, პასუხისმგებელნი უკვე ისინი იქნებიან და არა თქვენ; თუ უნდათ დახოცვა, დეე დაიხოცონ!

დეკანი. მამაჩემო, მე შენი არ მესმის, შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს მეფე იყო და მტერი კი გარშემო გყავდეს შემორტყმული.

გიორგი. ჩემს სახლში მე მეფე ვარ, მე მეფე ვარ ჩემის ქონებისა და ყველა ის, ვინც აქ მეცილება, ჩემი მტერია.

დეკანი. მერე ვინ გეცილება?

გიორგი. ჯერ არავინ, მაგრამ თუ გაბედეს, აი მაშინ მე ვიცი!

სვიმონი. ჩვენ მუშებზე ვლაპარაკობდით, შენ ახალი ჩამოსული ხარ და არ გეცოდინება, აქ კი თქვენი ფაბრიკის მუშებში დიდი აგიტაციაა, გაფიცვას ეპირებიან, დემონსტრაციებს. არა თუ ჩვენი, ჩვენი სამშობლოს დაღუპვა უნდათ და ჩვენ, რასაკვირველია, ზომები უნდა მივიღოთ.

დეკანი. ვთქვათ, მუშები თქვენს წინააღმდეგ იფიცებიან, მერე აქ სამშობლო რა შუაშია არ მესმის!

გიორგი. თუ ჩვენ აღარ ვიქნებით, სამშობლოს ვინ გაამდიდრებს? ვინ ააყვავებს?

სვიმონი. ევროპა ბურჟუაზიამ ააყვავა და განავითარა. ჩვენში იწყება ამგვარი აყვავების ხანა და ყველა ისინი, ვინც ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამოდიან, სამშობლოს მტრები არიან.

დეკანი. სამშობლოს ბურჟუაზია კი არ აყვავებს და ამდიდრებს, სამშობლოს მუშა ხალხი აყვავებს. ბურჟუაზიამ კი დაიმონავა მუშა ხალხი, მის შრომის, მისი ოფლითა და სისხლით მონაგარს ბურჟუაზია ისაკუთრებს, ხალხს კი სული ხდება სიბინძურეში, სიღატაკეში; აუტანელ პირობებში შრომით ის სანთელივით დნება, ის კი არ ცხოვრობს იწვის, გესმით? იწვის მხოლოდ იმიტომ, რომ ბურჟუაზია გაამდიდროს, ბურჟუაზიის ფუფუნებას ხელი შეუწყოს. თუ ჩვენ მდიდრულ სახლებში და მდიდრულ მორთულობაში ვნებივრობთ, თუ ჩვენ საკუთარ ეტლებში დავსეირნობთ, თუ ჩვენი ცოლები და ქალიშვილები ფარჩა-ხავერდებში და ბრილიანტებში დაცურავენ, მხოლოდ ხალხის შრომით. ყოველივე ეს ჩვენ მუშა ხალხს წავართვით. ბურჟუაზია ქურდია, არა თუ ქურდი, ის ავაზაკია, სხვისი შრომის, სხვისი ნაოფლარის მტაცებელი; აი ვინ არის დასახვრეტი, აი ვისი სისხლით უნდა შეიღებოს ქუჩები! მუშა ხალხს დღეს თვალები აეხილა, მან დაინახა, რომ მისი მტერი, მისი სისხლის მსმელი ბურჟუაზია არის, ის მიჩერებოდა ბურჟუაზიას, მის კეთილსინდისიერებას ენდობოდა, მაგრამ ბურჟუაზია ყრუ იყო და ბრმა, მუშა ხალხის გაჭირვებას ვერ ხედავდა, ან ყურადღებას არ აქცევდა. ახლა მუშა ხალხი ბრძოლის ველზე გამოვიდა, რომ ბრძოლით, სისხლით მოიპოვოს კეთილდღეობა და მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებანი, ბურჟუაზიამ მუშა ხალხის დამონებაზე დაამყარა თავისი საკუთარი კეთილდღეობა; სამართალი, კანონი და მთავრობა ისე მოაწყო, რომ მუშა ხალხს თავისუფლათ განძრევა არ შეძლებოდა, რათა ბურჟუაზიის მყუდროება არ შეერყია. დღევანდელი კანონი, სამართალი, მთავრობა, ბურჟუაზია, მთელი დღევანდელი წყობილება, მტერია მშრომელი ხალხის და ხალხიც ყველა ამათ წინააღმდეგ მიდის; ყველა ესენი უნდა გაანადგურონ მშრომელმა ხალხმა თავის გზაზე და შექმნას ისეთი წყობილება, საცა მონობას და ძარცვა-ყვლეფას, სხვისი ოფლით რჩენასა და გამდიდრებას ალაგი აღარ ექნება. ხალხმა რაკი ერთხელ ააფრიალა წითელი დროშა, მას ველარაფერი ველარ შეაჩერებს. გაიხედეთ! მთელ ევროპაში წითელი დროშებია აფრიალებული, მთელს ევროპაში მშრომელი ხალხი ბრძოლის ველზე დგას და თქვენ გინდათ სისხლით შეაჩეროთ ეს პროცესი?! მუშა ხალხს სისხლი ბევრი აქვს, იმდენი, რომ ბურჟუაზიას შიგ ჩააღრჩობს თავის სისხლში, თვითონ კი უვნებელი დარჩება. ისტორიის ბორბალს თქვენ ველარ შეაჩერებთ, რაც მოსავალია, უნდა მოხდეს.

გიორგი. მაშ შენ ეს სიბრძნე ჩამოიტანე საზღვარ-გარეთიდან? ამას სწავლობდი მთელი სამი წელიწადი საზღვარ-გარეთ, მამის მტერი გახდიო? (მუშტს დაარტყამს მაგიდაზე).

სვიმონი. შენ რომ გიორგის შვილი არ იყო, სწორეთ ვიფიქრებდი, რომ მუშებისაგან მოსყიდული ხარ.

დეკანი (გულმოსული). და შენ თუმცა ჩემი ბიძაშვილი ხარ, მაგრამ მაინც გეტყვი, რომ მხოლოდ ჯაშუში, ნამდვილი ჯაშუში ურჩევს მამაჩემს იმას, რასაც შენ ურჩევ. მამა ჩემმა ისეც გააგზავნა მუშებ შუა დამოკიდებულება და იმის მაგიერ, რომ რიგიანი რჩევა მისცე, შენ მზათ ხარ, უფსკრულში გადაჩეხო არა თუ მუშები, თვით მამაჩემიც.

სვიმონი. მაშ, შენ მიეცი კარგი რჩევა მამაშენს შენი უაზრო სოციალიზმით და რა სამოთხეშიაც შეიყვან, დავინახავ.

გიორგი (ლევანს). მე ჩემი საკუთარი ჭკუა მაქვს და კარგათ ვიცი, ვის რჩევა როგორია. შენ წიგნებიდან ლაპარაკობ, იმ წიგნებიდან, რომლებსაც ნახე-

---

*) იხილე „ჩვენი გზა“ № 27.

ლებთან. მაშასადამე, ლიბერალურ და ბურჟუაზიის წარმომადგენელ პარტიებთანაც. მაგრამ აქედან კიდევ ძალიან შორს არის იმ დასკვნამდე, ვითომ ბურჟუაზიულ და სოციალურ დემოკრატიას შორის თანდათან უფსკრული ივსებოდეს. ამ უფსკრულის ამოვსება იქნებოდა კაპიტალიზმის და სოციალიზმის შორის არსებულ უფსკრულის ამოვსება და ეს კი ისეთი შეუსაბამობაა, მთელ ისტორიულ პროცესის ისეთი გადაბრუნებაა, რაც არ ძალ-უძს არა თუ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არამედ არც რაიმე ჯადოქარ ძალას.

კერძოთ, რაც შეეხება რუსეთის სოციალდემოკრატიას, იგი დღეს განსაკუთრებულ ისტორიულ პირობებში იმყოფება. დღეს რუსეთში წამოყენებულია ისეთი ისტორიული მიზანი, რაიც შეადგენს მთელი იმპერიის საერთო საქმეს. პროლეტარიატისაგან ამ საქმის შესრულება ხოლოდ საკუთარის ძალ-ღონით მართლა ვირული საპალნის აკიდება იქნებოდა, რაიც წინდაუხედავ და მოუფიქრებელ მუშას უეჭველად უნაყოფოთ წელს მოსწყვეტავდა. აი ამიტომ სოციალდემოკრატია ესწრაფის, რომ პროლეტარიატი დღეს, არამც თუ განმარტოებული არა რჩებოდეს ბრძოლის ველზე, პირიქით, თავის გარშემო იკრებდეს ყველა მახლობელ და მეზობელ აქტიურ საზოგადოებრივ ჯგუფებს და აძლიერებდეს საერთო, სიმპერიო განმანთავისუფლებელ მოძრაობას; ცხადია, სოციალდემოკრატია მჭიდრო ურთიერთობას უნდა იჭერდეს ყველა ოპოზიციონურ და რევოლიუციონურ პარტიებთან, მაშასადამე ისეთ ლონიერ ოპოზიციონურ პარტიასთანაც, როგორიც არიან კადეტები. მარა როგორი, რა თვისების უნდა იყოს ეს ურთიერთობა?

თუ ბ-ნ მილიუკოვს ვკითხავთ, კადეტები წმინდა დემოკრატიული პარტიაა, ხვალინდელი რუსეთი ეკუთვნის დემოკრატიას, ამიტომ ყველანი, მთელი ოპოზიციონური რუსეთი უნდა შემოკრბეს კადეტების გარშემო. უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ კადეტების გამარჯვებას და ამ რიგათ, ავსებდეს იმ უფსკრულს, რაიც მხოლოთ სოც.-დემოკრატიულ „დოქტრინიორობამ“ გათხარა სოციალურ და ბურჟუაზიულ დემოკრატიის შორის.

გაკვრით შევნიშნოთ, რომ შეცდომა იქნებოდა კადეტები სხარტულათ დემოკრატიულ პარტიათ გვეღიარებინა მართალია, მათში არიან დემოკრატიული ელემენტები, მაგი პროგრამა უეჭველათ შეიცავს დემოკრატიულ პუნქტებს, მარა მთელი პარტია, მისი მოქმედება და ტაქტიკა საკმაოო შორს არის დემოკრატობამდე*) და ნამდვილ დემოკრატებთანაც რომ დავსახოთ კადეტები, ჩვენ წინა წერილში უკვე აღვნიშნეთ, რომ სოციალდემოკრატიაზე უფრო ერთგული დამცველი და თავგამოდებული მებრძოლი დემოკრატიულ საქმეს არ მოეპოვება. მარტო ამიტომაც ს.-დ.-ია კადეტებს ვერ მიანდობდა დემოკრატიულ მიზნების განხორციელებას. მაგრამ,—გვეუბნებიან,—დეე, დღეს-დღეობით სავსებით ნუ განხორციელდება დემოკრატიული მიზნები, დეე, რამენაირათ ბოლო მოეღოს ძველ რეჟიმს, დეე დამყარდეს რამენაირი კონსტიტუცია; განა თვით სოციალდემოკრატიისათვის, ეს არ ემჯობინებოდა იმ თვითნებობას და ძალმომრეობას, რომელიც დღეს გამეფებულია მთელს იმპერიაში? გადაჭრით ვუპასუხებთ, რომ უეჭველათ ემჯობინებოდა. მიუხედავათ ამისა, სოციალდემოკრატია მაინც ცოცხალის თავით ვერ გაუვებოდა მილიუკოვის ლათაიებს და ვერ იკისრებდა კადეტების თუ ბურჟუაზიულ დემოკრატიის სამსახურს და ამყოლ-დამყოლობას.

საქმე ის გახლავთ, რომ ძველი რეჟიმის დანგრევა და დემოკრატიის განხორციელება, ეს მხოლოდ დროებითი და წარმავალი ეპიზოდია. ეს მხოლოდ ერთი მხარე, ერთი გამოხატულებაა იმ დიად საკაცობრიო ბრძოლისა, რასაც აწარმოებს რუსეთის იმპერიის პროლეტარიატი საერთაშორისო პროლეტარიატთან ერთათ. სოციალიზმის განხორციელება! ასეთია ამ ბრძოლის საბოლოო მიზანი, ამაშია საერთაშორისო პროლეტარიატის ისტორიული მოწოდება-დანიშნულება. ამის შესასრულებლათ აუცილებელი და ბასრი იარაღია მუშა ხალხის კლასიური გათვითცნობიერება. ხოლო ამ იარაღის გამოჭედა-გამოწრთობა დაუღალავათ შეადგენს სოციალდემოკრატიის პარტიულ დანიშნულებას, მთელ მის მოქმედების დედაძარღვს. სოციალდემოკრატიისათვის სასარგებლო და ნაყოფიერია ყველა ის, რაც ეხმარება მუშათა კლასიურ გათვითცნობიერებას და მავნებელია ყველა ის, რაც კი ამას ხელს შეუშლიდა. ამიტომაც, სოც.-დემ. რა მჭიდრო ურთიერთობაც უნდა იქონიოს ამა თუ იმ ბურჟუაზიულ პარტიასთან, იგი არაოდეს არ ივიწყებს თავის კლასიურ, პარტიულ ვინაობას და პირიქით, ამ უკანასკნელს მუდამ ხაზს უსვამს. ამიტომ არის, რომ სოციალდემოკრატია კერძოთ კადეტებს თავის მოკავშირეთ სცნობს მიმდინარე „განმათავისუფლებელ მოძრაობაში“ და იმავე დროს იგი მათ შეურიგებელ და სასტიკ მოწინააღმდეგეთ ევლინება.

ასეთი ორგვაროვანია სოციალდემოკრატიის მოქმედება, ორ-პირია მისი მახვილი და მის წითელ ბაირაღზედაც ორი რამ არის ზეწარწერილი: „დემოკრატიზმი და სოციალიზმი“!

*) მილიუკოვი სრულიად წინააღმდეგ ამისა სწერს: „მისი (კადეტთა პარტიის), საპარლამენტო ტაქტიკა არამც თუ არ ეწინააღმდეგება მის დემოკრატიულ პროგრამას, არამედ, პირიქით, საშუალებას იძლევა, თვალ-საჩინოთ პრაქტიკაზე დამტკიცოს პარტიის დემოკრატიზმი“ („რეჩ“—231).

ახალი ამბები

არჩევნების შესახებ. როგორც მკითხველებმა იციან, რუსთა კურიის არჩევნები თფილისში მოხდა ხელმეორეთ, იმისათვის, რომ პირველ არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს იმისთანა პირებმა, რომლებსაც ამის უფლება არ ქონებიათ. როგორც გადმოგვცეს ხელმეორე არჩევნებშიც მოხდარა ამისთანა უწესობა: მიუღიათ რამოდენიმეს მონაწილეობა რკინის გზის სახელოსნოდან უფლების არ მქონეთ. თურმე ამით აიხსნება პატრიოტების ასეთი უმეტესობა.

თფილისის გუბერნატორის ჩერნიავსკის აზრით შესაძლებელია თურმე დამატებითი არჩევნები რუსთა კურიისა თფილისში მოხდეს 12 ოქტომბერს.

თუმც ამ კითხვის საბოლოო გადაწყვეტა დამოკიდებულია პეტერბურგის უმაღლეს მთავრობაზე, სადაც ტელეგრამა უკვე გაგზავნილია და პასუხსაც მოელიან.

როგორც გაზეთ „კავკაზ“-ს ატყობინებენ ქ. ახალციხის ამომრჩეველთა სიეზდზე არჩეულ ვიბორშჩიკს ე. ი. ბუდაგოვს აბსოლიუტური ხმის უმეტესობა არ მიუღია რისთვისაც თფილისის საგუბერნიო გამგეს დაუნიშნავს დამატებითი არჩევნები 9 ოქტომბერს.

თავის მოკვლა. 8 ოქტომბერს დილის 10 ს. თფილისის კადეტთა კორპუსში თავი მოუკლავს ამავე სასწავლებლის მე-7 კლასის მოწაფეს ნიკ. ელენტს.

გასაწვევ ჯარის კაცთა საყურადღებოთ. ის პირები, რომლებიც დაიბადენ 1-ლ ოქტომბერ. 1885 წ. 1-ლ ოქტომბრამდის 1886 წ. კანონით, ვალდებულნი არიან ადგილობრივ სამხედრო საკრებულოში გამოცხადდენ ამ თვის 15-დის, რათა სიაში იქნენ შეტანილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისენი უკანონოთ იქნებიან ჯარში გაწვეულნი.

ვაგონზე დაცემა ავლაბარში. 8 ოქტომბერს საღამოს 10 ს. ავლაბარში კახეთის ქუჩაზე რამდენიმე შეიარაღებული მძარცველი დასცემიან ტრამვაის ვაგონს იმ განზრახვით რომ კონდუკტორი გაეძარცვათ მძარცველებს სროლა აუტეხიათ და როგორც გადმოგვცეს კონდუქტორი ავის ტყვიას ცოტათი გაუკაწრავს, რადგანაც პოლიციას დროზე მოუსწრია მძარცველები გაქცეულან და ვერაფერი ვერ წაუღიათ.

არჩევნები წვრილ ვაჭართა ორგანიზაციის წევრებისა. თფილ. წვრილ ვაჭართა პროფესიონალურ საზოგადოების რაიონული კომიტეტების წევრთა არჩევნები დაიწყო მეორე რაიონიდან. 8 ოქტომბერს ნაშუადღეკის 2 საათზე იყო საზოგადო კრება მეორე რაიონში აირჩიეს კომიტეტის წევრებად: გიორგი დიმიტრის ძე იმვრლიშვილი, ნესტორ სოლომონის ძე მაჩაიძე და არტემ სერგოს ძე სულხანოვი. ამათ კანდიდატებათ არჩეულ არიან: გრიქოროვი მელიქ სოლომონის ძე, თეიმურაზოვი ბაგრატ ტატოს ძე და თათუზოვი არტემა ალექსანდრეს ძე. 10 ოქტომბერს იქნება მესამე რაიონში მოვაჭრეთა საზოგადო კრება, 12 ოქტომბერს მეოთხე რაიონისა და 15 ოქტომბერს მეხუთე რაიონისა.

გაფიცვა აზარიანცის ქარხანაში. ამ რამდენიმე დღის წინათ ზემოხსენებული ქარხნის 35 მუშებს ხაზეინისათვის წარუდგენიათ 14 მუხლისაგან შემდგარი ეკონომიური მოთხოვნები. ხაზეინს წინადადება მიუცია მუშებისათვის — სიტყვა „მოთხოვნების“ მაგიერ დაეწერათ „თხოვნა“ (прошеніе). ეს მუშებს არ მიუღიათ და ამნაირათ გამწვავებულა კონფლიქტი მუშებსა და ხაზეინს შორის. 8 ოქტომბერს, რაღგანაც გარკვეული პასუხი არ მიულიათ მუშებს, გაფიცულან, ხოლოდ გაფიცვის შემდეგ ხაზეინი დათანხმებულა საერთო მოლაპარაკებაზე, რაც უკვე სწარმოებს.

მადნის აღმოჩენა. როგორც რაჭიდან გვატყობინებენ, სოფ. რაჭში დვალების მამულში სახელდობრ „აფანტის კლდეში“ აღმოუჩენიათ შავი ქვის და ასფალტის მადანი. ხემოხსენებული მადნის ნიმუშები გაუსინჯავს ქუთ. გუბ. მადნების მძებნელ ინჟენერთა კომისიას და მოუწონებია იგი. ხმებია გავრცელებული, რომ მის დამუშავებას ახლო მომავალში შეუდგებიან.

დადგენილება კავშირის ლეგალიზაციის შესახებ. როგორც გადმოგვცეს, თფილისის მაგარ სასმელების მუშათა პროფესიონალური კავშირის ბიუროს გადაუწყვეტია ზემოხსენებული კავშირი ლეგალურათ იქნეს მოწყობილი, რისთვისაც აურჩევიათ განსაკუთრებული კომისია ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანათ.

მამასახლისის მოკვლა. როგორც თელავიდან გვატყობინებენ, მოუკლავთ ურიათუბნის მამასახლისი გ. როსტაშვილი, როდესაც ის ცოლშვილით თურმე თელავიდან სოფელში მიდიოდა.

თფილ. პოლიცმ. განკარგულება: 1) რომ ზნეობრივი მხარე თფილისის მოსწავლე ახალგაზდებისა დაცულ იქნას, პოლიცმეისტერი წინადადებას აძლევს ქალაქის ყველა ბოქაულებს დაათვალიერონ მათ როგორც გარედან, ისე შიგნით ყველა წიგნის, ქაღალდის და თამბაქოს მაღაზიები, რათა არ ჰქონდეთ სურათები უწესო შინაარსისა. მათ ევალებათ—ეს განკარგულება ხელწერილ ქვეშ გამოეცხადოს ყველა ზემოხსენებულ სავაჭროების პატრონებს. 2) ბოქაულებმა ერთი კვირის განმავლობაში უნდა დაათვალიერონ არსებული იარაღის მაღაზიები და აღნიშნონ—რამდენათ წესიერათ სწარმოებს იარაღის გაყიდვის ან შენახვის საქმე. აქვთ თუ არა საკმარისი საბუთები იარაღის ქონის, გაყიდვის და სხვა. ყველა ამის შესახებ ცნობა უნდა წარედგინოს ოქტომბრის 20-დის პოლიცმეისტერს; მასთან შესდგეს სიაც, რამდენი არის იარაღით სავაჭრო მაღაზიებისა თფილისში. 3) მეეზოვეებს ევალებათ ყველა სახლის ეზოში იქონიონ ქვეშა, რომლითაც მოიფინება ხამთარში ქვაფენილები ყინვის დროს. 4) ევალებათ ბოქაულებს დღეიდან დაათვალიერონ ყველა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებაში საწონი გირები და შეამოწმონ, რამდენათ იგი წესიერია ან ყალბი, უკანასკნელ შემთხვევაში ოქმი შეადგინონ, რათა პატრონები პასუხის-გებაში იქნენ მიცემული.

ვარს გიჟები წერენ და მე კი აი, აქედან (შუალზე ხელს ირტყამს) ვლაპარაკობ. შენ ჯერ არ გიშრომია, მხოლოდ სხვის ნაშრომს ხარჯავდი. ჯერ შეები შრომის ულელში და მაშინ დავინახავ, როგორ კილოზე ილაპარაკებ.

დეკანი. შენ, მამაჩემო, ყალბ გზაზე ხარ შემდგარი. ეს გზა დაქანებულია პირდაპირ უფსკრულისაკენ და, თუ დროზე არ შეჩერდი, დაიღუპები, უფსკრული შთანგთქავს. აი ამისთანა მრჩეველნი (სვიმონზე უთითებს) კი არ გაჩერებენ, უფრო მიგაქანებენ ამ გზაზე თავქვე და შენ კი ვერ ამჩნევ. მე ვხედავ ამას, ვხედავ კარგათ და სწორეთ იმისათვის მოვედი ახლა შენთან, რომ გაგაფრთხილო (ზარის რეკვა ისმის, შემოდის ინჟენერი პავლე, მიესალმება ყველას).

გიორგი (სვიმონს მიმართავს, ლევანი გადის). მე ყველაფერს მხედველობაში მივიღებ. ჩემი მოქმედების გზა მე ვიცი და საცა სიტყვით ვერას გავარიგებ, იქ ძალით გავიტან. თუ იმათ არ შეეშინდებათ სისხლის, მე სულაც არ მეშინია (ხელს ართმევს და სვიმონი გადის).

პაკლე. აბა ახლა მომილოცეთ.

გიორგი. კარგათ გაათავეთ საქმე?

პაკლე. სამაგალითოთ! ოცდახუთი ათასათ ვიყიდე სულ ის ადგილი და იცით რა ღირს? სულ უკანასკნელი ათასი მანეთი მაინც ღირს მარტო ადგილი. იმ სიმდიდრეს კი რომელიც შიგ არის, ორ მილიონზე მეტს წმინდას დავატოვებინებ.

გიორგი. ქარხანის ხარჯი გამოანგარიშებული გაქვსთ?

პაკლე (უბიდან ქაღალდს ამოიღებს). აი აქ არის ქარხანის გეგმაცა და ხარჯიც. სულ ქარხანა დაჯდება სამიცი ათასი მანეთი. არ დაივიწყოთ, რომ ეს ჩვენ, ე. ი. მე და თქვენ დაგვიჯდება ამდენი, ხოლო იმას რომ სხვას ვუკეთებდე, მაშინ კი სულ ცოტა ას ოცი ათასი მაინც დაჯდებოდა. გესმისთ?

გიორგი. მესმის, მესმის! (ორივე იცინიან). მე ერთი აზრი მომივიდა თავში. ქარხანა რომ სოფელში გავაკეთოთ, უკეთესი უნდა იყოს.

პაკლე. რატომ? ქარხანა, პირიქით, უსათუოთ ქალაქში უნდა იყოს, რადგანაც ქალაქში ყოველისფერი ხელთა გაქვთ.

პაკლე. რაც უნდა იყოს ჯერ გეგმა განვიხილოთ და თუ მოიწონებთ, ამაზედაც შევთანხმდებით, სპეციალისტებს დავეკითხოთ კიდევ.

გიორგი. (გეგმას ათვალიერებს) ჯობია, რომ ჩემს კაბინეტში წავიდეთ, იქ მაგიდა დიდია და უფრო თავისუფლათ გავსინჯავთ.

პაკლე. ძალიან კარგი. (მიდიან) ქარხანა საუცხოო გამოვა და ამგვარი ქარხნის სოფელში აგება სწორეთ ცოდვაა, ეს ქალაქს უნდა ამშვენებდეს უსათუოთ. (სცენა რამოდენიმე ხანს ცალიერია, გამოვა ამ დროს მაკრინე, მიიკვლ მოიკვლის და დაჯდება).

მაკრინე. ერთი დილიდან საღამომდე წიგნებში ჩაჩერებია და ხვნეშის, მეორე სულ აქეთ-იქით დარბის, აი ჩვენი იმედები. (ტუჩებს აიფშლაკავს და ხელებს გააქნევს) რა დრო დადგა გენაცვალეთ! ქალი ქალს აღარა ჰგავს და კაცი კაცს, ყველას თავპირი ჩამოსტირის, თითქო მიცვალებულები უსვენიათ სახლშიო უწინდელ ადამიანს გულიც მხიარული ჰქონდა, სახეც, ამიტომ ჯანიც შესწევდა და საქმიანობაც ახლა საქმისათვის აღარავინ აღარ ვარგა და ოხვრა კი იცოცხლე, ამათ იცოდენ! ეჰ, დაჩიავდა ხალხი (შემოდის ლიზა).

ლიზა. რას მიძახდი, დედა?

მაკრინე. რათა შვილო და მატერიები მოვატანიე და გასინჯეთ.

ლიზა მატერიები რათ გინდოდა?

მაკრინე. შენი კაბებისთვის.

ლიზა. კაბები რაც მაქვს, ისიც ბევრია მეტი რაღათ მინდა დედა ჩემო? მთელ სახლს ხომ ჩემი კაბებით ვერ გავავსებ!

მაკრინე. შვილო, აწი ვეჩერები დაიწყება და ყოველ ვეჩერებზე ახალი კაბით უნდა წახვიდე ხოლმე.

ლიზა. ვითომ რა უშავს, ერთი და იმავე კაბით რომ წავიდე?

მაკრინე. ვისაც არაფერი გააჩნიათ, ის არ იქცევა ასე შვილო და შენ რა გიჭირს ამის ფასი? ვერ უყურებ ნატალიმ რომ თავისი ორი ქალით არც ერთი ვეჩერს არ დააკლდები? მერე როგორ დადის ერთი (ადგება და ცინეს) ცხვირზე ლორნეტს წამოიგებს და ისე გაჯგიმული დაიარება (გაივლის) თითქოს ეს არის მილიონი აგერ ცხვირს ხოცში მაქვს გამოკრულიო. ის კი არა, ყელამდე ვალებშია ჩაფლული, პროცენტებსაც კი ველარ ისტუმრებს. ასეა შვილო ქვეყანა; ყველა მატყუარაა, ქვეყანა სულ ტყუილზეა აშენებული და ჩვენ რა გვიჭირს ამის ფასი?! ღმერთს მოუცია, უნდა კიდეც მოვიხმაროთ.

ლიზა. მერე მოხმარება იმას ქვია, რომ სახლი ტანისამოსით ავავსოთ?

მაკრინე. რატომაც არა? ჩვენ რას ვხარჯავთ, სხვისას ხომ არა!

ლიზა. თუ კი იმდენი გაქვს, დედა, ის არ ჯობია, რომ აიღო და სხვებსაც მისცე. რამდენი გაჭირვებულია ქვეყანაზე?

მაკრინე. ჩემო შვილო, ღარიბებს ქვეყანაზე რა გამოლევს? ასე რომ გვერიგებია გზა-შარაზე, ხომ ჩვენც არაფერი გვექნებოდა. სწორეთ იმიტომ იშრომა მამათქვენმა ამდენი, იმიტომ მოიხვეჭა სახელი და დიდება, რომ ახლა მათხოვრებს დაურიგოს ყველაფერი?.. რატომ, რასაც ჩვენ ვეხმარებით სხვას, იმდენს ვინ ეხმარება?

ლიზა. ჰო და ის ფულები, რომლებიც ჩემთვის გემეტება კაბებში, შენ აი, ღარიბებს დაურიგე ხოლმე. მე კი ჯერ ბევრი მაქვს კაბები.

მაკრინე. სწორეთ აგრე მინდა, რომ ძველ კაბაში უნდა წაგიყვანო ახლა ვეჩერში!

ლიზა (ღიმილით). ახა ღმერთო, მერე რა უშავს თუნდა აი, ამ კაბითაც რომ წავიდე!

მაკრინე. მაშინათვე თვალში ჩაუვარდები ყველას! ვინ ღა მოგაქცევს ყურადღებას? მართალია, მამიშენის შვილს ფასი არასოდეს არ მოაკლდება, მაგრამ რაც უფრო მოწონება გექნება, უმჯობესია.

ლიზა. მამიჩემის შვილობა რა შუაშია?

მაკრინე. იმ შუაშია, რომ მამაშენი მილიონებს ატრიალებს. ჩვენს დროში კი ფულით ჯოჯოს მივათხოვებ მინისტრის შვილს!

ლიზა. ეჰ, შენ ისევ შენებურათ დაიწყებ ახლა.

მაკრინე. აბა შენებურათ თუ დაიწყე, სახლში დამიბერდები.

ლიზა. დაუბერდე დედაჩემო, შენ რა მერე?

მაკრინე. არა შვილო! მეყო, რაც აგყევი. წამოდი საკაბეები აარჩიე, პარტნიხას დავიბარებ და აწი ჩემი ჭკუით უნდა იარო. როგორც კუკლას, ისე გამოგიყვან ხოლმე ყოველ ვეჩერში.

ლიზა. დედა ჩემო, თუ გიყვარდე თავი დამანებე გეფიცები, მართალს გეუბნები.

მაკრინე. არც მე ვარ შვილო ახლა მასხარაობის გუნებაზე, მეც მართალს გეუბნები (შემოდის ლევანი).

ლევანი. მამა სადარის?

მაკრინე. სად იქნება შვილო? მუშაობს კაბინეტში, ინჟენერია იქ და რაღაც პლანებს სინჯავენ. უნდა დაეხმარო შვილო, თორემ აღარ შეუძლია ამდენი მუშაობა, დაბერდა. აქამდე მოიყვანა საქმე და აწი შენ უნდა წაუძღვე წინ ამ საქმეს, ის კი დაისვენებს. (ლიზას) წამოდი შვილო, მეჩქარება.

ლიზა. დედაჩემო, პატარა ხანს თავი დამანებე. მაგის გუნებაზე არა ვარ, დატოვე და ავარჩევ.

მაკრინე (გადახედავს, შემდეგ თავისთვის ლაპარაკობს და მიდის). თავზე საყრელი აქვთ ყველაფერი და მაინც გუნებაზე არ არიან, ე, რა დრო დადგა გენაცვათ? (გადის).

ლევანი (დადის). თავისი უტაქტობით მამა ჩემმა მთელი გეგმა მოქმედებისა დამირღვია; მთელი ჩემი მომავალი საქმე უფსკრულის ნაპირზე დააყენა და ერთი ხელის კვრაა კიდევ საჭირო, რომ ყველაფერი სამუდამოთ დაიღუპოს. მეტი სიფრთხილე, მეტი თავდაჭერილობა, მეტი შეგნება და საქმეც ასე არ გამწვავდებოდა. ახლა რა ვქნა, რა მოვაგვარო? რითი გამოვაბრუნო საქმე მსხვერპლის შემდეგ? სისხლი სისხლს მოითხოვს. მირჩიე რამე!

ლიზა. მე რა გირჩიო? მამაჩვენს იმისთანა დამრიგებლები ჰყავს, რომ ჩემი რჩევა შენ ვერაფერს წაგადგებოდა სხვა დროსაც და ახლა, როცა მამაჩემმა უკვე ხელები სისხლში გაისვარა, რაღა გირჩიო!

ლევანი. შენ არ იცი ლიზა რა იმედებით მოვდიოდი მე აქ (უბიდან იღებს მამის წიგნს და გადაშლის) ჩვენ ბურჟუები მუშებს ჭირივით ვეჯავრებით და საბუთიცა აქვთ, ჩვენ წურბელები ვართ, მუშის სისხლით ვსაზრდოვობთ და ვსუქდებით; ჩვენი წარმოება, ჩვენი არსებობა, ჩვენი ცხოვრება, შეუძლებელია ისე, თუ მუშები არ გავძარცვეთ, არ მოვატყუეთ, არ გავყვლიფეთ. ბურჟუაზიის მოგება რაც უნდა მცირე იყოს, მაინც წანაგლეჯია, მცირე მოგებით კი არავინ დაკმაყოფილდება, ყველა მილიონებს მისდევს უკან, და ამ დევნაში არც სინიდისი, არც სამართალი, არც სიბრალული, არც მადლი ადარავის აღარ ახსოვს,—ფული, რაც შეიძლება მეტი მოგება. აი რითია ყველა გაჟღენთილი. რასაკვირველია, ამგვარი მდგომარეობა არ მოისპობა, სანამ თვით დღევანდელი ბურჟუაზიული წყობილება არ დაიღუპება და ჩემი მიზანიც ის იყო, რომ მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებით და გონებრივითა და ზნეობრივათ ამაღლებითა და გათვითცნობიერებით მათი განთავისუფლებისა და უკეთესი მომავალის დამყარებისათვის ხელი შემეწყო, ხოლო შემეწყო ისე,

8 ოქტომბერს, ღამის 2 საათზე ნაძალადევში მაგისტრალის ქუჩაზე „მწვანე კუნძულათ“ წოდებულ სასმელ დუქანში პოლიციას შეუპყრია 6 საეჭვო პირი: ვლადიმერ ანტონოვი, პლატონ ლაბარტავა, სიმეონოვი, აპოლონ და ივანე დავლიანოძეები და ვასილ ბოლოტინი. იქავ აღმოუჩენიათ „სმიტის“ სისტემის რევოლვერი; შეპყრობილნი წაუყვანიათ თფილ. საკომ. სამმართველოში.

8 ოქტომბერს, საღამოს 4 საათზე მიხაილოვის ქუჩაზე № 111 შემთხვევით ცეცხლი გაჩენილა. ცეცხლი ჩაუქრია. სახლის პატრონი—ნერსეს მარტიროზოვი შიშით იქვე დაცემულა და მომკვდარა.

8 ოქტომბერს, საღამოს 10 საათზე, ვიღაც ბოროტ-გამზრახველებს აუტეხიათ ჰაერში სროლა; პოლიციას ამის გამო რამდენიმე პირი შეუპყრია.

8 ოქტომბერს, დილის 3 საათ. ლოჩინის პერეულკაზე № 16. თ. ვლ. აბაშიძის სახლს ცეცხლი გასჩენია, ცეცხლი ჩაუქრიათ ცეცხლის მქრობელ რაზმს, ზარალი 500 მ. აღემატება.

8 ოქტომბერს, დილის 1-ლ ს. არხივნი ქუჩაზე გამვლელს შუშის მცხოვრებს—სედრაკი სარუხანბეკოვს თავს დასხმიან ბოროტ-მოქმედნი იმ განზრახვით, რომ გაეძარცვათ იგი. სარუხანოვს მოუსწრია დროზე დაყვირება, რის შემდეგ დამცემლები მიმალულან,

პარტიების ცხოვრებიდან

ბოლშევიკების ჯგუფმა, რომელიც რუსეთის სხვადასხვა ადგილის პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებში მუშაობენ, განიხილა სხვათა შორის კითხვა იმის შესახებ, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა ქონდეს ს. დ-ის პროფესიონალურ მოძრაობასთან. კრება შემდეგს დასკვნებს ადგენ: ს.-დ-ის კეთილგანწყობილი მუშაობა პროფესიონალურ მოძრაობაში, რასაც მთელი დღევანდელი მდგომარეობა გვიკარნახებს, უნდა წარმოებდეს დფხდონისა და შტუტგარტის რეზოლუციების თანახმათ, ე. ი. პროფ. კავშირები პრინციპიალურათ არ უნდა იქნეს აღიარებული ნეიტრალურ და უპარტიო დაწესებულებათ, არამედ პარ-იქით, შეუდრეკელათ უნდა ვცდილობდეთ, რაც შეიძლება უფრო მჭიდროთ და მტკიცეთ დავუკავშიროთ ისინი ს. დ. პარტიას. ამ ხასიათის აგიტაციას უნდა ეწოდეს ს-დ-ის კავშირებში და როდესაც კავშირის წევრთა შესამჩნევი უმრავლესობა მტკიცეთ შეუერთდება ს.დ-ის, მაშინ კავშირი პარტიულ დაწესებულებათ უნდა იქნეს აღიარებული. 2) რადგან თავისი დეკალური არსებობის დროს კავშირებს უმეტეს შემთხვევაში არ შეუქმნიათ მტკიცე ორგანიზაციული იაჩეიკები, რის მოხებით მთავრობის რეპრესიებმა კამოიწვიეს ზოგიერთ კავშირთა სრული მოსპობა, ამის გამო კრება წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ დაარსებულ იქნას ისეთი იაჩეიკები, უფრომდებოთაც შეუძლებელია მტკიცე პროფ., კავშირების მოწყობა. და პროდეტარიატის ეკონომიურ ბრძოლის ხელმძღვანელობა. 3) ეს იაჩეიკები უნდა მოეწყოს უკვლა არსებული დეკალურ პროფეს. კავშირებისათვის ქარხნებში საქარხნო პროფ. ორგანიზაციების სახით, რომლის შიგნითაც ს.-დ-ები უნდა აღგენდეს მჭიდრო ჯგუფებს მათზე ს.-დ-იულ ზედმოქმედების განსამტკიცებლათ. 4) იქ, სადაც პოლიციურ რეპრესიების სრულიად დაუნგრევია დეკალური პროფესიონალური კავშირები და სადაც მათი განახლება დეკალურ ნიადაგზე შეუძლებელია—იქ აუცილებლათ საჭიროა დაუყოვნებლივ შეგუდგეთ არა რეკალურ პროფ. კავშირთა მოწყობას, შემდეგ საფუძველზე: არა დეკალურ კავშირს საფუძლათ უნდა დაედოს მუშათა ფართო მასსის ორგანიზაცია ამა თუ იმ წარმოების პარტიულ იაჩეიკის გარშემო; მთელი მოქმედების გასაერთებელი და სახელმძღვანელო მუშაობა უნდა დაკისრებული ქონდეს იმ ორგანიზაციას, რომელიც აერთებს პარტიულ იაჩეიკებს ამა თუ იმ პროფესიის ცალკე წარმოებაში; კავშირების ადგილობრივ გაერთებას საფუძველათ უნდა დაედგას გაერთება პარტიულ პროფ. ჯგუფებისა, რომლებსაც მჭიდრო კავშირი უნდა ექნეთ ადგილობრივ პარტიულ ცენტრთან. 5) რაც შეეხება საერთოეროო დახმარების საზოგადოებათა ტიპის დეკალურ საზოგადოებებს, კოოპერატივების და სხ., სოც.-დემოკრატები უნდა ქმნიდენ მათში მჭიდრო ჯგუფებს პარტიულ მუშაობის საწარმოებლათ პროდეტარიატის, რაც შეიძლება ფართო მასსაში. მაგრამ სოც.-დემოკრატები ამასთან უნდა განმარტავდენ ხალხმე, რომ ასეთი დეკალური საზოგადოებანი ვერ გასწევენ მებრძოლ პროფ. კავშირების მაგივრობას, და უნდა ებრძოლენ ოფვედგვარ ცდას, რომელსაც აზრათ აქვს შეზღუდოს პროლეტარიატის შეკავშირებული მოქმედება ასეთ საზოგადოებათა ფარგლებით.

რუსის ხალხის კავშირის მოსკოვის განყოფილებამ გაუგზავნა დუბროვინს შემდეგი დეპეშა: „ჩვენ, კავშირის მოსკოველ მოდგულნი, მეტათ საამოდ ხმობა გვესმის იმ არეულ-დარეულობის შესახებ, რომელსაც ადგილი ქონია მთავარ საბჭოში. გემოდარეობით, აღექსანდრე ივანეს ძეს, დვთის გულისათვის, დაიცავით საბჭოში ერთობის და სიმტკიცის სული დღეს, როდესაც რუსეთს აშკარა დაღუბვა მოელის. შემწეთ გეგულდეთ ჩვენ ზეციერი დედოფალი, რათა შესძლოთ რუსის ხალხის გაერთების ძნელი საქმე და ემსახუროთ საშშობლოს კეთილდღეობას მრავალ ჟამიერ“.

მოსკოვის სოც.-დემოკ. კომიტეტის რეზოლიუცია პლეხანოვის შესახებ. ამას წინათ გაზ. „რუს“-ში დაბეჭდილი იყო ცნობა, თითქო მოსკოვის სოც.-დემ. კომიტეტს ბოიკოტი გამოეცხადებინოს არჩევნებისათვის. ეს ტყუილი ცნობა გადაბეჭდეს სხვა გაზეთებმაც. ამაზე ცნობამ გამოიწვია „ტავრიშჩ“-ში პლეხანოვის წერილი: „ნუ თუ ეს ჭეშმარიტია?“ მოსკოვის კომიტეტმა ამ ინციდენტის გამო გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც კიცხავს ბატონ პლეხანოვს იმისათვის, რომ ის ცნობების კრებს ბარტიულ ცხოვრების შესახებ ისეთი წყარდან, როგორიცაა, „რუსი“, რომელსაც მთელ შეგნებულ პროლეტარიატისაგან ბოიკოტი აქვს გამოცხადებული, და ამ ცნობის შეუმოწმებათ სწერს ისეთ წერილს, რომელიც მოსკოვის კომიტეტს სახელს უტეხს მუშების თვალში.

პლეხანოვის წერილის შესახებ ცენტრალურ კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ დადგენილების კამო პეტერბურგის თრანსკორუსი რაიონის კომიტეტმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიც ადიარებს, რომ ბატონ პლეხანოვს თავის წერილში არა თუ არ გაუფაქრია ერთი პარტიის წინააღმდეგ, პირიქით, იცავდა პარტიას და არავითარ მოსაზრებას უხერხულ მომენტის შესახებ არ შეუძლია აკრძალოს შეტდომების კრიტიკა; ამასთან კომიტეტი აცხადებს, რომ იგი პრინციპიალურათ თანხმაა ბატონ პლეხანოვის ეკვდა შეხედულების და გამოსთქვამს მწუხარებას, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა ისეთი მომენტი აირჩია ფრაქციულ ანგარიშების გასაწორებლათ, რომელსაც პარტიას წინ უდგას დიდი მნიშვნელოვანი კითხვები: დუმის არჩევნები, სოც.-დემ. ფრაქციის გასამართლება და სხ.

თფილისის მოსამსახურეთა კავშირის პირველი კონფერენცია

(გაგრძელება. იხ. „ჩვ. გზა“ № 28)

ანგარიშების შესახებ ამორჩეული კომისია მოხსენებას აკეთებს და აცნობს კონფერენციას, რომ ანგარიშები საერთოთ სწორათ არის ნაწარმოები, მხოლოდ ზოგიერთ ვადების შესახებ შენიშვნებს აკეთებს და საჭიროთ სცნობს ამ ვადების გადახდა კავშირმა, რაც შეიძლება, დაიჩქაროს. კომისიის გამოკვლევით კავშირს დღეს აქვს 2800 მანეთათ დირებული ქონება და 563 მანეთი და 78 კაპ. გასესხებული, მასთან ვადები აქვს კავშირს 2060 მანეთი და 25 კაპ. კავშირმა რომ დღეს ქონება თუალთ აქციოს, გასესხებული აიღოს და მევალეები დაკმაყოფილოს, მას დარჩება 1303 მანეთი და 53 კაპ. აქ არ შედის ახალი საბჭოს მიერ მოკრებული საწევრო თანადი, რომელის ანგარიშები საბჭომ ახლო მოგვალში უნდა გამოუშვას. კონფერენცია ანგარიშების შესახებ კომისიის მოხსენებას ამტკიცებს, ზოგიერთ ვადების დაუფონებლივ გადახდას ადანიშნავს და შემდეგ კითხვაზე გადადის.

უმუშევართა საკითხი დიდ კამათს იწვევს მხოლოდ იმის შესახებ, თუ რამდენი მიზნის შესაფერია ის საშუალება, რომ ერთი წლის ნამუშევარმა სამი თვით დაუთმოს ადგილი უმუშევარს და სამი თვის შემდეგ ისევ თავის ადგილას ჩადგეს. უმუშევართა შესახებ კონფერენციამ შემდეგი დადგენილება მიიღო: „უმუშევრობა და უმუშევართა საკითხი მუდამთან ახლავს კაპიტალისტურ წარმოებას და სანამ ეს უკანასკნელი არსებობს, ამ საკითხის საკუთარ ხასიათ გადაწყვეტა და უმუშევრობის მოსპობა შეუძლებელია. დღეს შესაძლებელია მიგიდოთ მხოლოდ ბადიტიგური ზომები უმუშევართა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. ამ მიზნით უმუშევართა წარმომადგენლები ირჩევენ კომისიას, რომელის მოგვალეობას შეადგენს: შეკრიბოს და იქონიოს უმუშევრების შესახებ ოფიციალური საჭირო ცნობები, აწარმოოს უმუშევართა სტატისტიკა და სხვა.. საბჭო აარსებს უმუშევართათვის ცალკე კასას, რომელის თანხა შესდგება კავშირის წევრთა ეროვნულთვიურ შემოსავლის 1% გადასახადიდან და აგრეთვე უმუშევართა სასარგებლოთ გამართულ წარმოდგენების, კონცერტების და სხვა ამ გვარ გასართობების შემოსავლიდან. საბჭო აწესრიგებს თვისუფალ ადგილების საქმეს, აძლევს უმუშევრებს ნიგთიერ დახმარებას საჭიროების და შეძლების მიხედვით: მარტო ხელს თვიურათ 8 მანეთს, ოჯახიანებს კი 10-20 მანეთამდე, რაც ადგილზე დადგომის შემდეგ ნაწილ-ნაწილათ შემოაქვთ უმუშევართა კასაში; კრებს ცნობებს უმუშევართა მდგომარეობის შესახებ სხვა ქალაქებში, ხსნის უმუშევრებისათვის კანტორას, უმუშევართა დახმარებისათვის მიმართავს ქალაქის თვითმართველობას, მართავს ითეატრსიან სასადილოებს, სადაც უმუშევრები საადილობენ ნაღდათ, ან ნასიათ, რაც შემდეგ შემოაქვთ ნაწილ-ნაწილათ და სხვა...

საბჭო ცდილობს გამოიყენოს უკვლა ბრძოლით მოპოვებული პირობები, როგორიც არის: წელიწადში ერთი თვის თვისუფლება, რვა საათის სამუშაო დღე და სხვა... მასთან რესტორანბუფეტების და სასტუმროების ერთი წლის ნამუშევარი მოსამსახურეები, კავშირის წევრები უთმობენ უმუშევრებს სამი თვით ადგილს, რომელის შემდეგ ისევ თავიანთ ადგილზე დგებიან“.

კონფერენციამ მიიღო კავშირის შემდეგი წესდება:

I. კავშირის მიზანი

1) კავშირს მიზნად აქვს: ა) ხელი შეუწყოს თფილისის მოსამსახურეები მათი კლასობრივი ინტერესების დასაცველათ, ბ) გაუმჯობესოს თითოეული წევრის შრომის პირობები და გ) ხელი შეუწყოს მათ კლასობრივ თვითცნობიერების გაზვიადებას.

II. კავშირის მოქმედება

2) ამ მიზნის მისაღწევათ კავშირი დებულობს სხვა და სხვა საშუალებას: ა) აწესრიგებს სამუშაო ქირას, ბ) სახდგრავს სამუშაო დროს, გ) აცხადებს მომრიგებელ კომისიას ხაზეინებს და მოსამსახურეთა შორის სადაო კითხვების გადასაწყვეტათ, დ) ახდენს ხელშეკრულობას, ე) აძლევს ფულით დახმარებას თავის წევრებს გაფიცვის, უმუშევრობის და ავთმყოფობის დროს, 3) უჩენს თავის წევრებს და მათ ოჯახობას უფასო იურიდიულ და საექიმო დახმარებას, ზ) ხელს უწყობს წევრებს სამუშაოს შოვნაში, რისთვისაც აარსებს სპეციალურ ბიუროს, ზ) იძენს საკუთრებათ მოძრავ და უძრავ ქონებას, თ) მართავს საზეიმო ბანკეტებს, ი) აწყობს დეკლამაციებს და კრებებს, კ) გამოსცემს შეძლებისა დაგვარათ თავის გაზეთს, ლ) აძლევს სესხს თავის წევრებს არა უმეტეს სამი თვის ვადით და მ) თავის ხარჯით ასაფეფვებს ისეთ წევრებს, რომელებსაც ამისათვის არა დარჩენიათ-რა და მატერიალურ დახმარებას აძლევს მათ ოჯახობას.

III. კავშირის შედგენილობა

3) კავშირის წევრათ შეუძლია იყვეს ქალ. თფილისის რესტორან-ბუფეტების, კლუბების, სასტუმროების, ტრაქტირების, სარდაფების, სირაჯების, სასწავლებლების, საავთმყოფოების, ოჯახების და სხვათა, აგრეთვე ამიერკავკასიის რკინის გზის ბუფეტების მოსამსახურეების. კავშირის წევრათ მიიღება უკვლა მოსამსახურე განურჩევლათ პოლიტიკურ რწმენისა, სარწმუნოებისა, წოდებისა, ეროვნებისა და სქესისა, თუ კი ის ემორჩილება ამ წესდებას და წლოვანებით არა ნაკლები თექვსმეტი წლისა. კავშირის წევრი ზნეობრივათ უყოფილი უნდა იყოს.

შენიშვნა: 1. კავშირის წევრათ არ შეიძლება იყოს ხაზეინები და უკვლა ის, ვინც ან ადმინისტრატიულ ფუნქციას ასრულებს და ან ხაზეინთან ერთათ დაინტერესებულია მოგებაში, ან სხვა კვარათ: მაგალითათ, კამეკეები, ბუფეტჩიკები, დასდიდრები, კოშიერნერები.

შენიშვნა 2. ბუფეტჩიკების მიდება ყოველ კერძო შემთხვევაში დამოკიდებულია სათანადო მიმდებ ორგანიზაციისაგან.

რომ მხეცური ბრძოლის, სისხლის ღვრის ალაგას ადამიანური ბრძოლა ყოფილიყო. აი ეს წერილი წაიკითხე, მამა ჩემი საზღვარ-გარეთ მწერდა, ჩამოდი და ფაბრიკა შენ ჩაიბარე, შენ წაუძღეი მას წინ, მე დავიღალე, ამდენი საქმის მეთაურობა არ შემიძლიაო, მე წინდაწინვე ვიცნობებდი, თუ როგორ მოვაწყობდი ფაბრიკას, როგორ გავაუმჯობესებდი, მუშათა მდგომარეობას. დავაწესებდი პენსიის და დასაზღვევ კასსას და დივიდენდებს, ქარხნის წმინდა შემოსავლიდან ავაგებდი სახალხო თეატრს და სხვ, არ დღეს კი ყოველივე ეს თუ ხელიდან მეცილება, ძნელი ასასრულებელი ხდება მას შემდეგ, რაც მამაჩემმა ასეთი სიმხეცე მაიდინა, არა თუ მარტო მამაჩემს უყურებენ ზიზღით, აღარც მე მენდობიან და იქ, საცა ნდობა და სიყვარული არ არის რა საქმე გამოიღებს ნაყოფს?!

დიზა. შენს შორს იყავი ლევან, მე კი ყოველივე ჩემის თვალით ვნახე, შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ იმოქმედა ყოველივე ამან ჩემზე. ჯოჯოხეთი თუ მართლა არის სადმე, მეტ სატანჯველს მიაყენებს ადამიანს, რაც მე ამ ორ კვირეში ტანჯვა გამოვცადე. სასწავლებელი რომ გავათავე, მე სულ ბავშვი ვიყავი როგორც გულით ისე გონებით. მე მწამდა, რომ ადამიანთა შორის სიყვარული და თანაგრძნობა სუფევდა, ცხოვრებისა არაფერი არ მესმოდა მხოლოდ მამიჩემის მკაცრი გამომეტყველება ხშირათ წყრომა და ყვირილი მუშებზე, მუშების დაქანცული გამხდარი სახე მაფიქრებდა და ეჭვებს მიბადავდა ხოლმე, მე მივყავი ხელი კითხვას, შენც ხელი შემიწყვე იქიდან და თითქოს ახლათ დავბადე, ჩემს თვალსწინ ახალი ქვეყანა გადიშალა. უკეთ რომ გითხრა, ჯოჯოხეთი ადამიანთა ტანჯვისა, წვალებისა, ეგოიზმისა, ცარცვა-გლეჯისა, ბოროტებისა, უსამართლობისა, რასაც წინეთ არ ვიცნობდი. მე დავრწმუნდი, რომ ქვეყანა ცოდვების მორევში დაცურავდა, რომ ყველა ეს მდიდრები და წარჩინებულები, რომლებსაც ყველა პატივსა სცემს, ყველა გულდრეკს უკმეევს, ნამდვილათ ავაზაკთა ბრბოს წარმოადგენენ. მე დავრწმუნდი ყოველივე ამაში, ხოლო თავს ვინუგეშებდი: ალბათ ჩვენ არ ვართ ცოდვილნი, ჩვენ არ ვეკუთვნით ავაზაკთა ბრბოს მეთქი, მაგრამ ამ საშინელმა შემთხვევამ ეს ნუგეშებიც წამართვა და დამიმტკიცა, რომ ჩვენც არა თუ ავაზაკები, უპირველესი ავაზაკები ვყოფილვართ. მის შემდეგ მე ქუჩაში გასვლისა მეშინია: ასე მგონია თითქოს კედლებიც კი მე მომჩერებოდენ; ასე მგონია, თითქოს ყველა მე დამიწყებს ზიზღით ყურებას მეთქი; მეშინია არავინ დამიძახოს, ავაზაკის შვილი ხარო. (შემოდის ზაქარია ქუდით და პალტოთი, ხელში პეპლების დასაჭერი უკავია და პეპლებით სავსე შუშის კოლოფი. ზაქარია მაგიდასთან მივა, ქუდს მოიხდის და დაჯდება).

ზაქარია. უჰ, საშინლათ დავიღალე. ბევრი ვიარე. სამაგიეროთ ისეთი პეპლები კი დავიჭირე, რომ ჩემს კოლლექციაში ამისთანა ბევრი არ არის. (პეპლებს დაჩერებია) საუცხოვო რამ არის, მშვენიერებაა (გაუწოდებს ლევანს) აბა, დახედე!

ლევანი. (შეხედავს და გაბრუნდება) მე პეპლების მოყვარული არ გახლავარ.

ზაქარია. ოჰო, ნამდვილი გლეხური გემოვნებაა. ჩემის აზრით ყოველ განათლებულ ადამიანს ესტეტიური გემოვნება, ესტეტიური განვითარება, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ესტეტიური წყურვილი უნდა ჰქონდეს.

ლევანი. (ცოტა მოთმინება დაკარგული) ყოველისფერს თავისი დრო გააჩნია, არის ისეთი წამები, როცა შენი ესტეტიკით, მართალი გითხრა, გულს მირევ ხოლმე.

ზაქარია. (წამოხტება) ნუ თუ შენ ამბობ იმას? ესტეტიკას დრო არ გააჩნია, ის ყველაფერზე დიადია, ის ყოველისფერზე მაღლა დგას. მხოლოდ ესტეტიკას შეუძლია საზოგადოების გაბედნიერება.

ლევანი. შენ ხომ ბედნიერი ხარ? რას დაეძებ საზოგადოებას?

ზაქარია. დიახაც რომ ბედნიერი ვარ! ყოველივე ის ქვეყნიური წვრილმანები, რაც ჩვეულებრივ კაცუნებს აშფოთებს, ჩემს გულს არ ეკარგება, ვერა წვდება, იმიტომ რომ მე შეგნებული მაქვს საიდუმლოება ცხოვრებისა, ბუნებისა და ბედნიერებისა; ეს არის მშვენიერება; გახადეთ მშვენიერება ხალხის საკუთრებათ, აღზარდეთ საზოგადოება ესტეტიურათ და მაშინ გაბედნიერდება ხალხი. უჰ, დავიღალე, წავიდე ჩემი კოლექცია გავამდიდრო! (გადის)

ლევანი. აი მართლაც ბედნიერი კაცი. კაცობრიობა თავს იმტვრევს ბედნიერების ძებნაში და მაგან ხელათ გამონახა ბედნიერებაც და მისი რეცეპტიც.

დიზა. ბედნიერი კი არ არის, სულელია.

ლევანი. სწორეთ სულელები არიან ამავე დროს ბედნიერებიც (შემოდის მოსამსახურე)

მოსამსახურე. (ვანო) ვიღაც ქალი გახლავთ თქვენთან!

ლევანი. მობრძანდეს.

მოსამსახურე. მარტო ლევანი მინდაო.

ლევანი. (ღიმილით) ვინ არის ნეტა? უთხარი მარტო არისთქო (მოსამსახურე გადის).

დიზა. მე გავალ (გადის. ცოტა ხანს შემდეგ შემოდის სქელი ვუალით სონა ვუალს აიწევს, ლევანს ხელს გაუწევს).

ლევანი (ხელს ართმევს). ხომ არაფერი დაგმართნიათ? ნამეტანი აშფოთებული სახე გაქვთ!

სონა (თვალცრემლიანი). ლევან! რაც ამ ორ დღეში ტანჯვა გამოვიარე, მთელს ჯოჯოხეთს აავსებდა. გაფიცებთ ნურავის ეტყვით, რომ მე თქვენთან ვიყავი. გაფიცებთ რაცა გრწამთ, არ გამამხილოთ, მე ჩემი შინაგანი ტანჯვაც მეყოფა.

ლევანი (გაოცებული). ვერ გამიგია, რა ამბავია! დაბრძანდით, დამშვიდდით.

სონა. მე მოღალატე ვარ, ამხანაგების მოღალატე, ამხანაგების გამცემი, მაგრამ მაპატიეთ, რა ვქნა? მე ქალი ვარ, დედა ვარ, ცოლი და მამაკაცური სიმტკიცე, მამაკაცური დამორჩილება გრძნობისა ვერ შევიძელი. როცა წარმოვიდგენ მარტო, რომ კაცის მკვლელი უნდა გახდეს ვახტანგი, რომელიც უკანასკნელ ჯაშუშსაც კი უნდა უმსუბუქებდეს ტანჯვას, რომლის პროფესია აღმოცენებულია ადამიანის სიყვარულზე, ვინც კი უნდა იყოს ეს ადამიანი, გონება მეკარგება, აღარაფერი აღარ მახსოვს, აღარაფერი აღარ მესმის, მარტო ერთი აზრითა ვარ გატაცებული, როგორმე ვახტანგი დავიფარო ამგვარი მხეცური საქციელისაგან.

ლევანი. ვახტანგი—კაცის მკვლელი—არაფერი არ მესმის.

სონა. ყური დამიგდეთ. ჩვენსა კრება იყო მუშებისა, თქვენ რომ წამოხვედით შემდეგ. იქ გადაწყვიტეს მამა თქვენის მოკვლა.

ლევანი. მამა ჩემის მოკვლა? ეგ შეუძლებელია.

სონა. ერთხმათ გადაწყვიტეს, მარტო ვახტანგი იყო წინააღმდეგი.

ლევანი. მერე ვახტანგმა რატომ არაფერი მითხრა? მე ის გუშინ ვნახე!

სონა. თქვენ თვითონ მითხარით: უნდა ეთქვა?

ლევანი (სკამზე დაეშვება. დაბალის ხმით). ის თვითონ უნდა გახდეს მამიჩემის მკვლელი. მესმის, რომ მელაპარაკებოდა ამ დილით, თვალებში არ მომჩერებოდა, სახე დაფიქრებული ჰქონდა, ეჩქარებოდა, თითქოს საღაც მიეშურებოდა. მერე ეს არის ამხანაგობა? მერე მამიჩემის მოკვლით მუშები მოიგებენ რასმე?

სონა. ლევან! ის წინააღმდეგი იყო, ის უმტკიცებდა მუშებს მორგების და შეთანხმების საჭიროებას, მარა ამ დროს ფეშალმა მოიტანა ამბავი: ანდრია გადაიცვალაო, და ამან ისე აღელვა მუშები, რომ ერთხმათ გადაწყვიტეს მამითქვენის მოკვლა. კენჭი ვახტანგს ერგო.

ლევანი. ყოველისფერს ბოლო ეღება; მთელი ჩემი მიზანი თურმე უნაყოფო ოცნება იყო, საპნის ბუშტი, რომელიც ერთის სულის შებერვით უნდა გაქრეს.

სონა. ლევან! გევედრებით, შემიბრალეთ, მამა თქვენი და მეც შემიბრალეთ. თქვენ შეგიძლიათ დაარწმუნოთ მამათქვენი, რომ დააკმაყოფილოს დაუყოვნებლივ მუშების მოთხოვნილება, ამით თქვენ დაუბრუნებთ მამა თქვენს სიცოცხლეს და მე კი ქმარს. თქვენ შეგიძლიათ ეს გამწვავებული მდგომარეობა ისე გამოაკეთოთ, რომ მეც აღარ მრცხვენოდეს ჩემის სინიდისისა, ჩემის ღალატისა და თუ იმდენათ ბედნიერი ვიქნნი, რომ ოდესმე უფლება მექნა ვთქვა: ჩემის ღალატით საერთო საქმეს სარგებლობა მოვუტანე მეთქი, სიკვდილამდე თქვენი მადლიერი ვიქნები; დაარწმუნეთ, ლევან, მამათქვენი, რომ ნუ ღუპავს ნურც თავის თავს და ნურც სხვას. (ხელს უწვდის) მშვიდობით (ლევანი ადგება გაშტერებულივით და ხელს ართმევს) გაფიცებთ არავისთან გამამხილოთ (სონა გადის, ლევანი გაშტერებული დგას სახით სცენისაკენ).

ივ. გომართელი.

(გაგრძელება იქნება).

4) კავშირის წევრი ვალდებულია კანონიერ დროს ერთდროული საწევრო ფული ერთი მანეთი და ყოველ თვიური საწევრო კანონიერი ჯამიერის $2^1/_2$ %.

5) კავშირიდან ირიცხება ყველა ის პირი, რომელიც სამი თვის განმავლობაში არ შეიტანს საწევრო კანონიერ შეუწყვეტელ მიზეზებისა გამო. აგრეთვე ისეთები, რომელნიც თავის მოქმედებით ჩირქს ცხებენ კავშირს. წევრის გამორიცხვის უფლება აქვს კავშირს. გამორიცხვა ხდება უბრალო ხმის უმეტესობით.

შენიშვნა. კავშირიდან გამორიცხულს, ან თავის სურვილით გამოსულს არ უბრუნდება კანონიერი ფული.

6) კავშირის თითოეულ წევრს შეუძლია განცხადება შეიტანოს: ა) ძირითად ორგანიზაციაში, ბ) რაიონულ ორგანიზაციაში, გ) სიბჭოში და დ) საზოგადო კრებაზე. საზოგადო კრებაზე განცხადება შემოიტანება სიბჭოს საშუალებით.

IV კავშირის საშუალებები.

7) კავშირის საშუალებებს შეადგენენ: ა) წევრთა ჩარიცხვის დროს ერთ-დროული კანონიერი, ბ) ყოველთვიური საწევრო კანონიერი, გ) შემოსავალი ლექციებიდან, წარმოდგენებიდან, კონცერტებიდან და სხვა ამ გვარ კანონიერებებიდან, დ) შემოწირულებანი და ე) ანდერძები.

8) კავშირის თანხა განაწილებულია: სათადარიგო და საწარმოო თანხებათ: ა) სათადარიგო თანხაში ირიცხება ყოველგვარი შემოსავლის 30% და ბ) საწარმოო თანხაში რჩება 70%. საწარმოო თანხა ნაწილდება სიბჭოს და რაიონულ ორგანიზაციებ შორის. სიბჭოს კანონიერ 60%, რაიონულ ორგანიზაციას—10%.

შენიშვნა. სათადარიგო თანხა შეიძლება დაიხარჯოს მხოლოთ სიბჭოს-მიერ თანხამათ შეერთებული რაიონების კრების კანონიერებისა: კაფიტალების, ადვოკატების და განსაკუთრებულ კანონიერ დროს, ისიც არსებულ თანხის არა უმეტეს 50%.

(გაგრძელება იქნება)

პროვინცია

ს. საგარეჯო (გარეთ კახეთი). გაბრაზებული და გამწარებული გლეხკაცობა ამხედრდა ქურდების წინააღმდეგ. ეგი ცხოვრებამ და გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ ვერავითარი უმაღლესი უფლებით აღჭურვილი პიროვნება ვერ მოსპობს ამ საზიზღარ ქურდობას თუ არა თვითვე ხალხი. 30 ენკენისთვეს ღამით დათიკო თაფლიაშვილს მოპარეს სამი წლის ჰედილა, თუმნათ ღირებული. მეორე დღეს მთელი უბანი ფეხზე დადგა. ქალი და კაცი, დიდი და პატარა გაფაციცებით დაეძებდენ ქურდებს. ექვი მიიტანეს საგარეჯოელ ალექსა და ნიკა ბუზიაშვილებზე, ვანო და სანდრო ჭიაბერაშვილებზე, რომელნიც გლეხების თქმით, დახელოვნებული ყოფილან ქურდობაში, დაეჭირეს და დაამწყვდიეს სასოფლო სამმართველოში. ქურდების დაჭერა რომ გაიგეს, ორასამდე კაცმა მოიყარა თავი და თხოულობდენ პირდაპირ, გამოუძიებლათ იქვე დასჯას. მაგრამ ადგილობრივმა ინტელიგენციამ და მოწინავე გლეხებმა მოითხოვეს ჯერ გამოეკითხათ დამნაშავეებისთვის და მერე ისე დაესაჯათ, რაზედაც ხალხი დაეთანხმა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს ვაჟბატონები არა თუ ქურდობაში, ლაპარაკშიაც ყაჩღები გამოვიდენ. ისინი იფიცებოდენ: ღმერთი, რჯული ჩვენ არ მოგვიპარნიაო. მიუხედავათ ქურდების ფიცისა და მჭერმეტყველობისა ხალხმა ისეთი კითხვები დაუსვა, რომ ქურდები შიგ გაიხლართენ, ჩვენება აურდაურიეს და მით „კისერი მოიტეხეს“, მაგრამ ქურდები მაინც არ გამოტყდენ დანაშაულში. საღამოც მოახლოვდა. ქურდები დაამწყვდიეს სახლში და ყარაულები დაუყენეს. ხალხი წავიდა-წამოვიდა თავ-თავიანთ სახლებში. მხოლოდ ერთი ჯგუფი ვერ ისვენებდა. იმათ უნდოდათ როგორმე გამოეტეხნათ ქურდები. ამისთვის ვახშმობისას ისევ მოიყარეს თავი. გამოიყვანეს ვანო ჭიაბერაშვილი იმ უბანში, სადაც ჰედილა მოიპარეს და გადაჭრით მოსთხოვეს გამოტეხილიყო, გულ-ახდილათ ეთქო ყველაფერი. ჯაუტმა ქურდმა უარი უთხრა ჩვენების მიცემაზე. მაშინ კი გაბრაზებულმა გლეხებმა წაუშინეს: ჯოხი, კეტი, მუშტი, წიხლი. მაშინ კი იკადრა და სთქვა; „ჰო, მართლა მე და ნიკამ მოვიპარეთო, ალექსა და სანდრო იქ არა ყოფილანო, ხორცი ტყავში შეხვეული გიორგიწმიდის ბოლოში სათიესში შევინახეთო“. გამარჯვებით გახარებულმა გლეხებმა გაიმძღვარეს წინ ქურდი და წავიდენ ხორცის მოსტანაო. მართლაც, სათიესში ნახეს ტყავში გახვეული ხორცი. წამოიკიდეს ქურდს ტყავი და მაყრულის შემოძახილით შუა ღამისას მოვიდენ სოფელში კანცელარიასთან, სადაც დანარჩენი ქურდები იყვენ დამწყვდეულნი. ახლა გამოიყვანეს მეორე ქურდი ნიკა და მისთხოვეს გამომტყდარიყო, რაზედაც ქურდმა უარი განაცხადა. ხალხმა დაუწყო უწყალო ცემა. ქურდი საშინლათ ბღაოდა, მაგრამ ისეთი კერპი გამოდგა, რომ არ უნდოდა გამოტეხა და გაიძახოდა: „თუ მე დამიმტკიცდა ჰედილას მოპარვა, მაშინვე ჩემის ხელით თავს მოვიკლავო“. ქურდის სიჯიუტით გაწარებულმა ახლა ჯოხებთან ერთად დაუშინეს ცხვრის ბარკლები: იქნება ეხლა მაინც გამოტყდესო. მაშინ კი ქურდი ნიკა მიხვდა, რომ ყველაფერი გაგებულიო, ხორცი ნაპოვნია და ძალა უნებურად გამოტყდა დანაშაულში. გლეხებსაც ეს უნდოდათ. დაბეგვილი ქურდები დაამწყვდიეს და გახარებულნი დაიშალენ. კვირას მოხდება გასამართლება და ვნახოთ სოფელი როგორ დასჯის.

გოგია.

საარჩევნო კამპანია.

— როგორც ვიცით, პეტერბ. გუბერნიის მუშათა ვიბორშჩიკების არჩევნებზე გაიმარჯვეს ბოლშევიკებმა. ძალთა განწყობილება ასეთი იყო: 26 ბალშევიკი, 20 მენშევიკი, დანარჩენები უპარტიონი. 14 უპარტიომ წინადადება მისცა მენშევიკებს, თუ თქვენს სიას წამოაყენებთ და შიგ ერთ უპარტიოს ჩაურთავთ, ჩვენც ხმას მოგცემთო. მენშევიკებმა უარყვეს ეს წინადადება და დამორჩილენ სოც.-დემ. რწმენებულთა საერთო კრების დადგენილებას.

— რ. ს.-დ. მ. პარტიის მესამე საგენერალო კანდიდატთ პეტერბურგში პოლეტაევის მაგივრათ წამოყენებულ იქნა პიროქკოვი—ნოქარი.

— პენზაში არჩევნების დროს დატუსაღებულ იქნა ყოფილი დეპუტატი ტიმოშინი.

— ევპატორიაში ქალაქის მეორე კურიაში ვიბორშჩიკათ გავიდა ს.-დ. დეიგიტი.

— ფეოდოსიის ქალაქის მეორე კურიაშიც გავიდა სოც.-დემ. სურკოვი.

— ეკატერინოსლავში ხელმეორე არჩევნების დროს მოკავშირენი კასტეტებით სცემდენ პროგრესიულ ამომრჩევლებს.

— მოსკოვში კადეტთა პარტიის მხრივ სადეპუტატო კანდიდატებათ წამოყენებული არიან: პირველ კურიაში პ. დოლგორუკოვი და ნ. შჩეპკინი, მეორეში —გოლოვინი და მაკლაკოვი. ეს კანდიდატები საბოლოოთ დამტკიცებულ იქნა პარტიის ქალაქის კომიტეტის-მიერ.

— მოსკოვში ოქტომბრისტებმა გამართეს ორი საარჩევნო კრება. მათმა ლიდერმა, გუჩკოვმა რიხიანათ განაცხადა კრებაზე, რომ არჩევნების შედეგი მოგვცემს „მომუშავე“ ლიბერალურ ცენტრს, რომელიც დაეხმარება სტოლიპინს გაატაროს განზრახული რეფორმებიო. გუჩკოვის რწმენით, დუმაში შეატანს მხოლოდ ერთი მუჭა მემარცხენეთა ჯგუფი, რომელსაც არ ექნება არავითარი სერიოზული მნიშვნელობა და ყოველ შემთხვევაში გავლენას ვერ იქონიებს ცენტრის მუშაობაზეო.

რუსეთის ამბები

ბაუმანის მკვლელის პატიება. სოც.-დემ. პარტიის ცნობილ მოღვაწის ბაუმანის მკვლელს მიხალინს, რომელიც ნაფუც მსაჯულებმა ორჯერ იცვნეს დამნაშავეთ და მიუსაჯეს წელიწად ნახევარი გამასწორებელ განყოფილებაში დაპატიმრება, ამ ჟამათ, როგორც გაზეთები იუწყებიან, მიესაჯა სრული პატიება.

ეოფიდ დეპუტატს კაცაშვილს, რომელიც პეტერბურგის ციხეში ზის ნაცნობების ნახვის დროს ბარათის გადაცემისათვის აუკრძალეს ერთი თვის განმავლობაში ნაცნობების ნახვა.

შაგრაზმელთა თრეშა ოდესაში, მიუხედავათ სტოლიპინის დეპეშებისა და გენ.-გუბ. ნოვიცკის დაპირებისა, სრულიადაც არ ისპობა. 2 ოქტომბერს შავრაზმელებმა კვლავ ცოდვის ლული დაატრიალეს ოდესაში. ამ დღეს „მოკავშირენი“ დღესასწაულობდენ კავშირის თოდესის განყოფილების დაარსების წლისთვის და ეს დღესასწაული აღნიშნეს იმათ, რომ მაუზერებით და რეზინებით დაერიენ ებრაელებს და უწყალოთ სცემეს, აგრეთვე ისროდენ რევოლვერებს. ნაცემ-ნაგებენი და დაშავებულია, სხვათა შორის, მრავალი ქალები, ბავშვები და მოხუცები. აქა-იქ პოლიცია ერეოდა საქმეში.

ჯაშუშა—რევოლიუციონერი. კიევში სამსასახურიდან დაითხოვეს პოლიციის აგენტი, რომელზედაც ის ექვი შეიტანეს, რომ კავკასიაში იარაღს ეზიდება რევოლიუციონერთათვის.

„კავშირის“ სასიკვდილო განაჩენი. პეტერბურგის მუშათა ცნობილ აგიტატორს ს.-დ. ნიკოლაის რუს. ხალხის კავშირისაგან მიუღია სასიკვდილო განაჩენი. ფურცელზე დახატულია შავი ჯვარი და წაწერილია: 20 ოქტ. 1907 წ. „აქ განისვენებს ნაშთი აგიტატორ ნიკოლაისი“.

მუშათა შორის. „პროფ. ვესტნიკ“-ის მე-14 ნომერში მეთაური წერილი განიხილავს კითხვას კავშირთა ლეგალურ არსებობის შესახებ. როგორც ვიცით, მოსკოვის სამრეწველო რაიონის საოლქო ს. დ. კოსფერენციამ საჭიროთ დაინახა ლეგალურ პროფ. კავშირების მაგივრათ არალეგალურ კავშირთა დაარსება. წერილის ავტორი ასეთ შეხედულებას სრულიად უსაბუთოთ ცნობს. საკმარისია გავიცნოთ, ამბობს, იგი, ჩვენი პროფეს. პრესა, სხვადასხვა კავშირთა კონფერენციების ოქმები, დასასრულ, ყოველ დღიურ პრესის პროფესიონალური ქრონიკაც-კი, რომ დავრწმუნდეთ, თუ რა ბევრი გაუკეთებიათ ლეგალურ კავშირებს მიუხედავათ ათასგვარ ადმინისტრატიულ შევიწროებისა, პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლაში კლასიურ შეგნების შეტანის მხრივ. დევნა-შევიწროება პროფ. ორგანიზაციებს არ აკლდა დასავლეთ ევროპაშიაც, მაგრამ არსად მუშებს თავიანთი კლასის განსათავისუფლებელ ბრძოლაში უარი არ უთქვამს ლეგალურ საშვალებათა გამოყენებაზე, არსებულ კანონებთან ორგანიზაციების ფორმის შეფარდება-შეგუებაზეო.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.)

6 ოქტომბერი

ტაშკენტი. 8 აგვისტოს საგრძნობელათ იძრა მიწა. განსაკუთრებით ძლიერი მიწის ძვრა იყო სამარკანდსა და ურტიუბაში.

სამარკანდი. დილის 8 ს. და 47 წუთიდან, ვიდრე 10 საათსა 30 წუთამდე დრო-გამოშვებით ინძრეოდა მიწა. 9 საათზე ძლიერ გაძლიერდა. ბევრი კერძო და სახაზინო შენობები დაზიანდა. ჩამოინგრა მეჩეთი შიალორის ვარლიზი და ბიბი-ხანუმის მონასტერი. შეშინებული მცხოვრებნი ქუჩებში გამოცვივდენ.

კოკანდი. დილის 9 საათზე ძლიერ შეინძრა მიწა.

კატტიკურგანი. დილის ცხრა საათზე დაიწყო ძლიერი მიწის ძვრა, რომელმაც თითქმის მთელი ერთი საათი გასტანა. ბევრი შენობა დაზიანდა.

ნოვოგრუდოკ. 7 ოქტომბერს ძლიერი ქარის დროს გაჩნდა ცეცხლი. დაიწვა სამოქალაქო მასწავლებელი, რამოდენიმე სამლოცველო და ასამდე სახლი.

პეტერბურგი. რადგანაც ბევრს მხარეებში არ მოიპოვება პირველ დაწყებით სკოლებზე უმაღლესი საქალებო სკოლები, ამიტომ ნება მიეცა საერო განათლების სამინისტროს მიიღოს 1872 წლის დებულების თანახმათ გახსნილ სამოქალაქო სკოლებში ვაჟებთან ერთათ ქალებიც.

ვარშავა. ვარეცკის ტრაქტირის მახლობლათ ვიღაც უცნობმა მოჰკლა პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრი.

კიევი. სრულიად რუსეთის შაქრის მწარმოებელთა საზოგადოების ცნობით წელს მოსალოდნელია 550 მილიონი ფუთი შაქრის ჭარხალი. აქედან გამოვა დაახლოებით 75 ნახევარი მილიონი ფუთი შაქარი. ამ საქმეზე მუშაობს სულ 275 ქარხანა. გრიგორიევსკის ქარხანაში (ვასილევკაში) მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. მოთხოვნები ეკონომიურია და გაფიცვა მშვიდობიანი.

პეტერბურგი. პეტერბურგიდან 27 ვერსის მანძილზე მონადირის ძაღლებმა მიიყვანეს პატრონი თივით და ფიცრებით მიფარებულ ალაგას. როდესაც აღნიშნული საგნები აიღეს, აღმოჩნდა ხვრელი, რომელიც გაყავდა ორ აგალგაზრდას რკინის გზის ლიანდაგის ქვეშ. მათ აღმოაჩნდათ ხვრელის გეგმა და ამ ხანაგების დეპეშები. ერთმა მათგანმა თავის თავი ალექსეევათ აღიარა, ხოლო მეორემ უარი სთქვა თავის ვინაობის განცხადებაზე. ორივენი დაატყვევეს და გაამგზავრეს ცარსკოსელის ჟანდარმთა განყოფილებაში.

ორენბურგი. ღამით, ძლიერი ქარის დროს ჩირლიანდის ქარხნებში დაიწვა 33 სახლი.

ტვერი. დაიწვა სოფელი კუშჩალინო. განადგურდა 41 სახლი და ერთი სახელმწიფო არყის დუქანი.

ბაქო. დასრულდა გაფიცვა კასპიის ამხანაგობაში. მუშათა მოთხოვნილებები არ დაკმაყოფილებულა.

არხანგელსკი. გადმოსახლებულ ქართველ არონაიას, რომელმაც გასულ დეკემბერში გიმნაზიის ნაჩალნიკას მიშეკაიას რევოლვერი ესროლა, სამნახევარ წლის ციხე მიუსაჯეს.

ნიჟნინოვგოროდი. დაიწყო კანავინის შეიარაღებული აჯანყების საქმის გარჩევა. ბრალი ედება 26 მიწმე 200.

ვილნო სრულიად გადაიბუგა დაბა მოლიაზთ. დაიწვა აგრეთვე სოფლის სამმართველო და ფოსტის განყოფილება.

სამარყანდი. მიწის ძვრა თითქმის საღამოს $5^1/_2$ საათამდე გაგრძელდა. პოკროვის მონასტრის სამრეკლოდან ჯვარი ჩამოვარდა და დაიმსხვრა. ზარები თითონ რეკდენ. ჩამონგრეულ სახლში დაიღუპა ორი ქალი.

ვორონეჟი. სამ ოქტომბერს ტროიცკის მახლობლათ 100 კაცისაგან შემდგარი ბრბო დახვდა სახელმწიფოს არყით დატვირთულ დროგს; წაიქციეს დროგი და დასწვეს 225 ვედრო არაყი.

სიმფეროპოლი. ბერდიანსკში პორტის მუშებმა ექვი აიღეს ინგუშებზე, თითქოს იმათ მოეკლათ მუშა და აკვეთეს მუშაობა, მოითხოვდენ ქალაქიდან ინგუშების განდევნას. ქალაქში გაიგზავნა ერთი როტა ჯარისა და ნაჩალნიკი ჟანდარმთა განყოფილებისა.

ნოვოჩერკასკი. სამხედრო საოლქო სასამართლომ განიხილა საქმე დონის ყაზახთა პოლკის აჯანყების. ერთს 12 წლის კატორღა მიუსაჯა, ერთს ოთხი წლით გამასწორებელი რაზმი, 8 დისციპლინარული ბატალიონი, 2 გაუპტვახტი და 5 გაამართლა.

უცხოეთი

მადრიდი. კარლოს ალფონსი კაემგზავრა წყალდიდობისაგან დაზარალებულ ხროვინცია ფერიდას დასათვალიერებლათ. ბინისის მახლობლათ, როცა კორდი ავტომობილით გადიოდა, ხიდი ჩაინგრა და წყალში ჩავარდა. კარლოს უგნებლათ გადარჩინეს.

თეირანი. ვერმანში წესიერება ადგენილია. ემიგრანტებმა დაუტოვეს საკონსულოები. შირაკში კვლავ არეულობაა.

პარიეი. ლრიუდი იწერება: ორი მზვერავი როტა გზაზე შეეყარა მარაგოელებს. მოგვიკლეს ორი კაცი, ერთი მთოგანი კაბიტანია. დაგვეჭრა შვიდი.

ვენა. იმპერატორს მადა მოუვიდა.

ტოკიო. იოკოჰამმი ჩაუშვეს ზღვაში ახალი კრეისერი „კურამა“.

რედაქტორ-გამომცემელი
იოსებ ზ. გიორგობიანი

განცხადებანი

მაგარეჯლის მიმოსელა

(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—თფილისისა)

თფილისიდან მადის

ბაქოს: 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო, დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

ბათუმს: 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. (1 ს. 3 წ.)

ბოლოსკენ: 1) ნაშუადღევის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.)

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.)

თფილისში მადის

ბაკოდანან: 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.) 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.)

ბათუმიდან: 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.); 3) სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.)

ბოლოსკენიდან: 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.) 2) საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო, დილის 4 ს. (5 ს. 58 წ); 2) სამგზავრო, ნაშუადღევის 5 ს. 15 წ. (5 ს. 13 წ.)

ადიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ვიგომელაურის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო

სკოლებში შესასწავლი

ქართველი მწერლები

მათი სურათებით და ბიოგრაფიებით.

წიგნი პირველი,

მეორე გამოცემა, შევსებული და შესწორებული. შეიცავს 416 გვერდს და **ღირს ყდით ოთხმეტი შაური.** მაღაზიებს და სასწავლებლებს დაეთმობა 20 პროცენტი.

ამ წიგნის საწყობი იმყოფება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა). ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди грузинскаго населенія. (0—5—8)

„გუტემბერგის“

წიგნის მაღაზიაში, თფილისი, შტაბის ქუჩა, № 2.

მიღებულია სხვადასხვა სახელმძღვანელოები რუსულ, ფრანგულ და ნემეცურ ენებზე, აგრეთვე სხვადასხვა წიგნები მოზრდილთა და ბავშვებისათვის. წიგნები იგზავნება ფას-დადებით. „ზაკაზები“ სრულდება დაუყონებლივ და წესიერათ. თუ „ზაკაზი“ გადაცილდა 3 მან. იმ ემთხვევაში საჭიროა ბე. (3—ფ.—3)

ახალი სამოსახლოები

იყიდება

ვერაზედ „საღხინოსა“ და მალაკნების უბან შუა, მაკაროვების ადგილებში. ძვირფასი ადგილებია და საუკეთესო სამოსახლოები საბურთალოზედ, სამხედრო სოშეს გზის პირზე, მუშტაიდის პირდაპირ მტკვარს გაღმა. სამოსახლოები ასიდან ას ოც ოთხ-კუთხედ საუნამდეა, ფულის შეტანა თვე და თვეა, ექვსი თვის განმავლობაში, 1 სექტემბრიდან, ფულის შემოტანის შემდეგ დაუმტკიცდებათ ადგილები. ვისაც ნებავს, შეუძლიათ მოიკითხოს „ახალშენი“-ს კანტორაში სევასტი გაჩეჩილაძეს, სასახლის ქუჩაზე, თავადაზნაურობის სახლში და ვერის დაღმართზე იქ, სადაც უწინ იყო ქალაქის საყასბო და დღეს იყიდება ალექსანდრე გაბაევის ადგილები—ბაგრატ თოროზოვს. ფასებსაც იქ გაიგებენ.

გამგენი: სევასტი მიხ. გაჩეჩილაძე, ბაგრატ თოროზოვი და ისაკ ბახტაძე

(10—ფ.—9)

კლინიკა

კბილის ავათმყოფობისა

ლ. შტრეიხერისა

კბილის ხაჟეიმო სკოლასთან

ერევნის მოედანი, (პუშკინის ქ., 3).

ავათმყოფების მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. კვირაობით 9-დან

ფასი მკურნალობისა:

საექიმო რჩევა საზოგადოთ .	20 კ.
ერთი კბილის ან ძირის ამოღება	20 „
კბილის გაწმენდა . .	50 „

არის უფრო ძვირიც:

პლომბა გუდაპერჩისა . .	50 „
„ „ ცემენტისა. . 1 მ.	
„ „ მეტალიური . 1 „	
„ ვერცხლისა ამალგამა 1 „ „	50 „
„ „ ემალისა . . 1 „ „	50 „
„ „ ფაიფურისა . 3 „ „	50 „

არის უფრო ძვირიც 5 მანეთამდე:

„ „ წმინდა ოქროსა . 3 „

უფრო ძვირიც.

ხელოვნ. კბილები კაუჩუკზე 1	კბილი:
„ „ დიოტორიტიული 1	„
„ „ კრაბმონისა . . 1	50 „
ხელოვნ. კბილ. კაუჩუკზე ოქროს	კაკვებით:
„ „ ერთი კავი	1 „

მსწრაფლმბეჭდავი ამხ. „სოლაპანი“ მადათოვის კუხეული, შუხრასსკისა სახლი № 1.